

საქართველოს კანონი

„სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №39, 10.11.2000წ.) შეტანილ იქნას ცვლილება და მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია (არქმშენინსპექცია) და მის სისტემაში შემავალი ადგილობრივი ინსპექციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

